

სტატიის გაფორმების ნიმუში

პირველი ავტორი¹, მეორე ავტორი², მესამე ავტორი²

¹ უნივერსიტეტის დასახელება, ქალაქი, ქვეყანა
ელექტრონული ფოსტა

² უნივერსიტეტის დასახელება, ქალაქი, ქვეყანა
ელექტრონული ფოსტა

ანოტაცია— ამ ინსტრუქციაში მოცემულია ძირითადი რეკომენდაციები კონფერენციის სტატიების მოსამზადებლად. ანოტაცია არ უნდა შეიცავდეს ციტატებს გამოყენებული ლიტერატურიდან და რთულ ფორმულებს.

საკვანძო სიტყვები— პირველი საკვანძო სიტყვა, მეორე საკვანძო სიტყვა, ...

I. შესავალი

გთხოვთ დაიცვათ მოცემული წესები სტატიის გაფორმების დროს.

სტატიის გაფორმების წესები

სტატიის ტექსტი ფორმდება A4 ფორმატის ფურცელზე (210 x 297 მმ).

ქართული ტექსტების შრიფტი – Sylfaen. სტატიის შრიფტის ზომები მოცემულია ცხრილ 1-ში. სტრიქონებს შორის მანძილი – 1 .

მინდორი: ზედა = 30 მმ, ქვედა, მარცხენა და მარჯვენა = 20 მმ.

სტატიის ტექსტი მოცემული უნდა იყოს ორ სვეტად. სვეტის სიგანე 82 მმ. სვეტებს შორის დაშორება 6 მმ.

II. სასარგებლო რჩევები

A. ნახაზები და ცხრილები

ნახაზები და ცხრილები მოცემული იყოს შესაბამისი ტექსტის ქვეშ ან მომდევნო გვერდზე. მოერიდეთ ნახაზის და ცხრილის განთავსებას სტატიის ტექსტში მათი პირველად მოხსენიების წინ.

ნახაზები და ცხრილები უნდა დაინომროს არაბული ციფრებით თანმიმდევრულად. ამასთან თითოეული ნახაზი და ცხრილი უნდა დასახელდეს.

გამოიყენეთ შემოკლება „ნახ.1“ თუ ტექსტში მოცემულია მხოლოდ ერთი ილუსტრაცია, იგი არ ინომრება. ნახაზი უხარვეზოდ უნდა აისახებოდეს ეკრანზე (გარჩევისუნარიანობა 96-150 dpi).

სტატიის შრიფტის ზომები ცხრილი 1

შრიფტის ზომები	სახეობა		
	ჩვეულებრივი	გამუქებული	დახრილი
6	ცხრილის წარწერები		
8	ცხრილები, ცხრილების დასახელებები, ნახაზების დასახელებები		
9	ლიტერატურა	ანოტაცია	
10	მთავარი ტექსტი, ფორმულები, ავტორების სამუშაო ადგილი		ქვეთავები
11	ავტორების გვარები		
24	სტატიის სათაური		

B. გამოყენებული ლიტერატურა

ტექსტში გამოყენებული ლიტერატურის ნომერი მოათავსეთ მართკუთხა ფრჩხილებში [1]. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა შეადგინეთ ტექსტში მისი გამოყენების თანმიმდევრობის მიხედვით.

წიგნისათვის მიუთითეთ: გვარი, ინიციალები. წიგნის სათაური. ქალაქი. გამომცემლობა. გამოცემის წელი.

სტატიისათვის პერიოდულ გამოცემაში და ჟურნალში მიუთითეთ: გვარი, ინიციალები. სტატიის სათაური. ჟურნალის სახელწოდება, წელი, ტომი, ნომერი, გვერდები.

კონფერენციის შრომების კრებულისათვის მიუთითეთ: გვარი, ინიციალები. სტატიის სათაური. კონფერენციის დასახელება. ქალაქი. გამომცემლობა. გამოცემის წელი.

დისერტაციისათვის მიუთითეთ: გვარი, ინიციალები. დისერტაციის სათაური. დისერტაციის ავტორფერატი, ქალაქი, უნივერსიტეტი, წელი.

გამოსაქვეყნებლად მიღებული ნაშრომები მიუთითეთ, როგორც „ბეჭდვაში“.

თუ ავტორების რაოდენობა 6 –ზე ნაკლებია, მიუთითეთ ყველა ავტორი და არ მიუთითოთ „დასკვნები“.

დაუშვებელია ლიტერატურის მითითება ანოტაციაში და დასკვნაში.

C. შემოკლებები

განსაზღვრეთ შემოკლებები, როდესაც ისინი პირველად გამოიყენებიან ტექსტში. მოერიდეთ შემოკლებების გამოყენებას სათაურებში თუ ეს არ არის აუცილებელი.

D. ფორმულები

ფორმულები უნდა იყოს განთავსებული სვეტის ცენტრში. ფორმულები შესრულებული უნდა იქნას MS Word-ის მათემატიკური ფორმულის რედაქტორის საშუალებით. ფორმულები დანომრეთ თანმიმდევრულად.

$$a + b = c . \quad (1)$$

მიუთითეთ (1), არ მიუთითოთ “ფორ. (1)” ან “ფორმულა (1),” გამონაკლისი შემთხვევა წინადადების დასაწყისი: “ფორმულა (1) ...”

E. განზომილებები

ფიზიკური სიდიდეების განზომილებებისათვის სასურველია გამოყენებული იყოს მხოლოდ SI სისტემის ერთეულები.

დასკვნა

თემის გარშემო ავტორების დასკვნები და შემოთავაზებები. დასკვნა მოკლედ უნდა აჯამებდეს მანამდე წარმოდგენილ საკითხებს და განსაზღვრავდეს ახალ მოსაზრებას.

გამოყენებული ლიტერატურა

- [1] G. Eason, B. Noble, and I. N. Sneddon, “On certain integrals of Lipschitz-Hankel type involving products of Bessel functions,” *Phil. Trans. Roy. Soc. London*, vol. A247, pp. 529–551, April 1955.
- [2] J. Clerk Maxwell, *A Treatise on Electricity and Magnetism*, 3rd ed., vol. 2. Oxford: Clarendon, 1892, pp.68–73.
- [3] I. S. Jacobs and C. P. Bean, “Fine particles, thin films and exchange anisotropy,” in *Magnetism*, vol. III, G. T. Rado and H. Suhl, Eds. New York: Academic, 1963, pp. 271–350.
- [4] K. Elissa, “Title of paper if known,” unpublished.
- [5] R. Nicole, “Title of paper with only first word capitalized”, *J. Name Stand. Abbrev.*, in press.
- [6] Y. Yorozu, M. Hirano, K. Oka, and Y. Tagawa, “Electron spectroscopy studies on magneto-optical media and plastic substrate interface,” *IEEE Transl. J. Magn. Japan*, vol. 2, pp. 740–741, August 1987 [Digests 9th Annual Conf. Magnetics Japan, p. 301, 1982].
- [7] M. Young, *The Technical Writer's Handbook*. Mill Valley, CA: University Science, 1989.